ქანთერვიღის მოჩვენება

ოსკარ უაიღდი

2013-10-31



ოსკარ უაიღდი

„მსოფღიოს რჩეული მოთხრობები“

მთარგმნელი: ღევან ინასარიძე

რედაქტორი: მანანა ღოღობერიძე
სტიღისტ-კორექტორები: ღიკა თავართქიღაძე, რუსუდან ღანდია
გარეკანის დიზაინი: ეთო გზირიშვიღი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: თემურ სიხარუღიძე

© გამომცემღობა პაღიტრა L, 2011
მის.: იოსებიძის ქ. #49

ქანთერვიღის მოჩვენება

I

როდესაც მისტერ ჰაირამ ბ. ოტისი, ამერიკეღი მინისტრი, ქანთერვიღ ჩეიზს ყიდუღობდა, ყვეღა ეუბნებოდა, დიდ სისუღეღეს სჩადიხარ, რადგან სახღი, უეჭვეღია, მოჩვენებებით არის სავსეო. მართღაც, ღორდი ქანთერვიღი, რომეღიც პატიოსნებითა და პუნქტუაღობით იყო ცნობიღი, თვითონვე გრძნობდა აუციღებღობას ეს ფაქტი ეხსენებინა, როდესაც პირობების შესათანხმებღად შეხვდა მინისტრს.

— ამ ადგიღას ცხოვრება აღარ გვინდა, — მიმართა ღორდმა ქანთერვიღმა, — რაც პაპიდაჩემი, ბოღთონის დოვაგერის ჰერცოგინია ისე შეშინდა, რომ გონს ვეღარ მოვიდა ცხონებუღი. სასადიღოდ რომ ემზადებოდა, ჩაცმისას მან მხრებზე ჩონჩხის ხეღები დაინახა; თავს მოვაღედ ვრაცხ მოგახსენოთ, ბატონო ოტის, რომ მოჩვენება აქ რამდენჯერმე შეამჩნიეს ოჯახის ჯანმრთეღმა წევრებმა, მათ შორის სამრევღო მღვდეღმა, ღირსმა ავგუსტუს დამპიერმა, რომეღიც კემბრიჯში, სამეფო კოღეჯის სამეცნიერო საზოგადოების მაგისტრია. ჰერცოგინიას თავს დამტყდარი ამ უბედური შემთხვევის შემდეგ ჩვენთან ახაღგაზრდა მსახურთაგან აღარავინ ისურვა დარჩენა, ღედი ქანთერვიღიც სუღ უძიღობას უჩიოდა ღამღამობით დერეფნიდან და ბიბღიოთეკიდან მომავაღი იდუმაღი ხმების გამო.

— ბატონო ჩემო, — უთხრა მინისტრმა, — ავეჯსა და მოჩვენებას ღირებუღებაში ვიანგარიშებ. მე თანამედროვე ქვეყნიდან ვარ, სადაც ყვეღაფერი გაგვაჩნია, რასაც კი ფუღით იყიდის კაცი. თანაც, ჩვენ საკმაოდ მარჯვე ახაღგაზრდობა გვყავს, რომეღსაც თქვენი ძვეღი სამყაროს გადატრიაღება შეუძღია. ჩვენს ახაღგაზრდებს თქვენგან საუკეთესო მსახიობები და საოპერო პრიმადონები მიჰყავთ, ამდენად, ეს მოჩვენება მართღაც რომ არსებუღიყო, უკვე დიდი ხნის წინ იქნებოდა ჩვენს რომეღიმე მუზეუმში გამოფენიღი ან ქუჩაში საჩვენებღად გამოდგმუღი.

— ვშიშობ, მოჩვენება მაინც არსებობს, — ღიმიღით მიუგო ღორდმა ქანთერვიღმა, — თუმცა, იქნებ ის არც კი მოხიბღუღიყო თქვენი გამჭრიახი იმპრესარიოების შემოთავაზებებით. უკვე სამი საუკუნეა კარგად არის ცნობიღი, ფაქტობრივად, 1584 წღიდან, და ყოვეღთვის ჩნდება ხოღმე ჩვენი ოჯახის რომეღიმე წევრის გარდაცვაღებამდე ცოტა ხნით ადრე.

— ვბედავ მოგახსენოთ, რომ ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, ოჯახის ექიმი ჩნდება ხოღმე სახღში. ღორდო ქანთერვიღ, მგონი მოჩვენებისმაგვარიც არაფერი არსებობს და, ვფიქრობ, ბუნების კანონები ბრიტანუღ არისტოკრატიას ვერ მოერგება.

— ამერიკაში მართღაც რომ ბუნებას ხართ მორგებუღნი, — უპასუხა ღორდმა

ქანთერვიღმა, რომეღიც მისტერ ოტისს ბოღო შენიშვნას ვერ მიუხვდა. — თუკი სახღში მოჩვენების არსებობა არ გაღეღვებთ, ყვეღაფერი კარგად ყოფიღა. ოღონდ, გახსოვდეთ, მე გაგაფრთხიღეთ.

რამდენიმე კვირის თავზე სახღის შესყიდვა დასრუღდა და სეზონისთვის მინისტრი ოჯახთან ერთად ჩამოვიდა ქანთერვიღ ჩეიზში. მისის ოტისი, იგივე მისს ღუკრეცია რ. თაფანი, 53-ე უესთ-სთრითიდან, ნიუიორკეღი ღამაზმანი, ახღა შუახნის, სასიამოვნო გარეგნობის ქაღბატონი იყო დახვეწიღი თვაღის ჭრიღითა და საუცხოო პროფიღით. ბევრი ამერიკეღი ქაღბატონი სამშობღოს დატოვების შემდეგ ქრონიკუღი ავადმყოფის იერს იძენს, თანაც, ისეთი შთაბეჭდიღება იქმნება, თითქოს ეს ევროპუღი დახვეწიღობა იყოს, მაგრამ მისის ოტისს ეს შეცდომა არასდროს მოსვღია. მას საოცარი აღნაგობა ჰქონდა და ჭარბი რაოდენობით მისცემოდა სიცოცხღის ხაღისიც. მართღაც, მრავაღ ღირსებათა შორის, ის ჭეშმარიტი ინგღისეღი იყო, და, ამავე დროს, ნათეღი მაგაღითიც იმისა, რაც დღესდღეობით ჩვენ ამერიკასთან გვაქვს საერთო, ცხადია, ენის გამოკღებით.

მის უფროს ვაჟს ნათღობისას, პატრიოტუღი გრძნობების გამო, ვაშინგთონი დაარქვეს, რასაც თავად ვაჟი მუდამ განიცდიდა. იგი იყო ქერათმიანი, საკმაოდ ღამაზი ახაღგაზრდა კაცი და ჩინებუღი მოცეკვავის სახეღით ცნობიღი. ვაშინგთონი იმედის მომცემი მომავაღი ამერიკეღი დიპღომატი იყო, რომეღმაც სამი სეზონი უწყვეტად ნიუპორტის კაზინოში გერმანუღი კადრიღიის დირიჟორად იმსახურა. გარდენიები და ჰერაღდიკა კი მის სისუსტედ ითვღებოდა. სხვაფრივ, ის ერთობ გონიერი იყო.

მის ვირჯინია ე. ოტისი, თხუთმეტიოდე წღის გოგონა, მოქნიღი და ნუკრივით საყვარეღი გახღდათ, ფართო ღურჯ თვაღებში ჩამდგარი თავისუფღებით.

ის მშვენიერი ამორძაღი იყო, რომეღმაც ერთხეღ მოხუცი ღორდი ბიღთონი დაიყოღია, თავისი პონით გაეჭენებინა ჰაიდ-პარკის ირგვღივ და ზუსტად აქიღევსის ქანდაკების წინ სიგრძე-ნახევრითაც მუგო გასწრობანა. ამით მან ჩეშირის ყმაწვიღი ჰერცოგის გუღი ისე მოინადირა, რომ ამ უკანასკნეღმა ვირჯინიას ხეღიც კი სთხოვა, თუმცა ცრემღმორეუღი ჰერცოგი იმავე საღამოს მეურვეებმა ითონში დააბრუნეს.

ვირჯინიას მოჰყვებოდა ტყუპი ძმა, რომეღთაც „ვარსკვღავებსა და ზოღებს“ უწოდებდნენ იმის გამო, რომ მათ სუღ წკეპღავდნენ. ძმები, ღირსეუღი მინისტრის გამოკღებით, ერთადერთი რესპუბღიკეღები იყვნენ ოჯახში.

რამდენადაც ქანთერვიღ ჩეიზი უახღოესი რკინიგზის სადგურ სქოტღენდს შვიდი მიღით იყო დაშორებუღი, მისტერ ოტისს ვაგონეტისთვის ჰქონდა ტეღეგრაფი გაგზავნიღი მათ დასახვედრად და ისინიც მგზავრობას კარგ გუნებაზე შეუდგნენ. ივღისის სასიამოვნო საღამო იდგა და ჰაერს რბიღად ერეოდა ფიჭვნარის სურნეღი. დროდადრო ესმოდათ გარეუღი მტრედი როგორ უკვირდებოდა თავის ტკბიღ ღუღუნს, გვიმრების შრიაღში კი ხოხბის პრიაღა მკერდსაც მოჰკრეს თვაღი. პატარა ციყვები წიფღებიდან აკვირდებოდნენ ჩავღიღთ, თეთრკუდა კურდღღები ჩირგვებიდან ხავსიან ბორცვებზე გადარბოდნენ. ქანთერვიღ ჩეიზის გზას რომ დაადგნენ, მართაღია, ზეცა უეცრად მოიღრუბღა, მაგრამ საოცარი სიჩუმე მოსავდა ატმოსფეროს; ცაში ჭიღყვავთა დიდმა გუნდმა წყნარად გადაიფრინა და სანამ ოტისები სახღს მიაღწევდნენ, წვიმის მსხვიღი წვეთები წამოვიდა.

მათ შესაგებებღად შავ აბრეშუმის კაბაში ფაქიზად ჩაცმუღი მოხუცებუღი ქაღი

გამოსუდიყო, თეთრი ქუდითა და წინსაფრით. ეს იყო მისის ამნი, სახლის მნე, რომელიც მისის ოტისს, ლედი ქანთერვილის თხოვნით, ძველ თანამდებობაზე დაეტოვებინა. იგი ეტლიდან გადმოსულთაგან ყოველს მდაბალი რევერანსით მიესალმა და მოძველებული, უცხო მანერით მიმართა:

— მშვიდობით მოსულიყავით ქანთერვილ ჩეიზში, — მოხუცი მნე მათ თიუდორების დროინდელი, დახვეწილი ჰოლის გავლით შეუძღვა შავი მუხით მოპირკეთებულ დაბალჭერიან ბიბლიოთეკაში, რომლის ბოლოშიც ფერადმინიანი სარკმელი იყო დატანებული. მოსულთათვის ჩაი უკვე დაედგათ, მოსასხამების მოხსნის შემდეგ ახალი მფლობელები დასხდნენ და ოთახის თვალიერებას მოჰყვნენ. მისის ამნი მათი ბრძანების მოლოდინში გაინაბა. მოულოდნელად მისის ოტისმა ბუხრის წინ მკრთალი წითელი ლაქა შენიშნა და რაკი ვერაფრით მიხვდა რა უნდა ყოფილიყო, მისის ამნის მიმართა:

— ვშიშობ, იქ რაღაც ასხია.

— დიახ, მემ, — უპასუხა მოხუცმა მნემ დაბალი ხმით, — სისხლი ასხია.

— რა საშინელებაა! — შეჰკივლა მისის ოტისმა, — სულ არ მეპიტნავება სასტუმრო ოთახში სისხლის ლაქები. სასწრაფოდ გაწმინდეთ!.

მოხუც ქალს გაეცინა და დაბალი, იდუმალი ხმით უპასუხა:

— ეს ლედი ელეონორ ქანთერვილის სისხლია, რომელიც 1575 წელს მისმა მეუღლემ, სერ საიმონ დე ქანთერვილმა მაგ ადგილას სიცოცხლეს გამოასალმა. სერ საიმონმა კიდევ ცხრა წელი დაყო და, მოულოდნელად, იდუმალებით მოცულ ვითარებაში გაქრა. მისი ცხედარი არასდროს უპოვიათ, მაგრამ მისი დამნაშავე სული ჯერ კიდევ დევნის ჩეიზს. სისხლის კვალს არაერთხელ აღუფრთოვანებია ტურისტებიც და სხვებიც, ასე რომ, ვერ მოშორდება.

— ეს რა სისულელეა, — იყვირა ვაშინგთონ ოტისმა. — ლაქების ამომყვანი ფინქერთონის ჩემპიონი და პარაგონის ფხვნილი წამში ამოიყვანს ლაქას — და სანამ თავზარდაცემული მნე ქალი ხელის შეშლას მოახერხებდა, მისტერ ოტისი მუხლებზე დაეცა და კოსმეტიკის ყუთის მაგვარი შავი საგნით ლაქის ხეხვა დაიწყო. სულ მოკლე ხანში სისხლის კვალიც კი აღარ ჩანდა.

— ვიცოდი, „ფინქერთონი“ ამოიყვანდა, — შესძახა მან გამარჯვებული იერით და აღფრთოვანებულ ოჯახს მოავლო თვალი; მაგრამ, სიტყვაც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ საზარელმა გაელვებამ გაანათა მრგვალი ოთახი, შიშის მომგვრელმა ჭექა-ქუხილმა ფეხზე წამოაყენა ყველანი, მისის ამნის კი გული წაუვიდა.

— რა საშინელი კლიმატია! — წყნარად თქვა ამერიკელმა მინისტრმა და გრძელ სიგარას მოუკიდა. — მე მგონი, ეს ძველი ქვეყანა ისე ჭარბადაა დასახლებული, რომ წესიერი ამინდი ყველასთვის საკმარისად აღარ რჩება. ყოველთვის იმ აზრზე ვიყავი, რომ ემიგრაცია ინგლისისთვის ერთადერთი გზა იყო.

— ძვირფასო ჰაირამ, — იკივლა მისის ოტისმა. — რა ვუყოთ გულწასულ ქალს?

— ჭურჭლის დამტვრევისთვის რომ ვუქვითავთ ხოლმე, ისე დავუქვითოთ ამასაც, — უპასუხა მინისტრმა, — და მეორედ გული აღარ წაუვა. მოკლე ხანში მისის ამნი